და ბიოლოგიური წრებრუნვები შეარწყმულია, ე.ი. მიმდინარეობს ერთდროულად. ეს პროცესები, რომლებიც არც თუ იშვიათად შეისწავლება რეორცი დაბოთკიდებელი მოვლენები, მჭიდროდ ურთიერთქმედებენ და აქტიურად ზემოქმედებენ ერთმანეთზე. ყველა თანამედროვე გეოქიმიური და ნიადაგური პროცესები შეუძლებელია ცოცხალი ორგანიზმების მონაწილეობის გარეშე. ნიადაგები, როგორც ბუნებრივ-ისტორიული ნამდვილი ხეყული პლანეტაზე წარმოიშვა ბიოლოგიური წრებრუნვის განვითარების ერთად [2]. მცირე ბიოლოგიურ წრებრუნვაში იგულისხმება ცოცხალი ნივთიერების წარმოქმნის, გაქრობის და დაშლის პროცესების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ქიმიური ელემენტების წრებრუნვას სისტემაში « გარემო-ცოცხალი ნივთიერება-გარემო ». ბიოლოგიურ წრებრუნვას არც თუ იშვიათად ეტახიან ნივთიერებათა (ქიმიურ ელემენტთა) ბიოგეოქიმიურ წრებრუნვას. ნივთიერებათა ბიოლოგიური ან ბიოგეოქიმიური წრებრუნვა დროში წარმოადგენს სრულ (მაკროლ) ციკლს, რომელსაც ეწოდება ბიოლოგიური ან ბიოგეოქიმიური ციკლი.

ციკლის ხანგრძლივობა შეიძლება შეადგენდეს საათებს ან დღე-ღამებს (მიკროორგანიზმთა ინდივიდუბისათვის), წლებს (ბალახოვანი მცენარეებისა და ცხოველებისათვის) და ასევე წლებს (მცენარეული ახლოცაცობებისა და ერთობლიობებისათვის და ა.შ.).

ბიოლოგიური წრებრუნვის შედეგად ხდება ქიმიური ელემენტების გადანაწილება. მათი გადანაწილება გამოისავალი მთის ქანებიდან ნიადაგში, მცენარეებში და ცხოველურ ორგანიზმებში (ცხრ.2).

ცხრ. 2 მარცხენა ელემენტების შეწყველობა (%) ლითონფროში, ნიადაგისა და მანქანის მცენარეებში ბ. ავსტრალიაში და დასავლურ შავხეობაში

ელემენტი	ლითონფროში	ნიადაგში	მცენარეების (ლიანები)
Li	32 - 10-2	3 - 10-3	2,0 - 3-3
Na	2,5	0,63	2,0
Mg	1,87	0,63	7,0
Ca	2,06	1,37	3,0
Al	7,05	7,13	1,4
P	29,5	33,0	15,0
K	9,3 - 10-2	8 - 10-2	7,0
S	4,2 - 10-2	2,0	5,0
Cl	2,5	1,26	3,0
Fe	4,65	3,8	1,0
Ce	4,2 - 10-2	2 - 10-2	2 - 10-2

პირველმა აჩვენა, რომ ბიოსფეროს წარმოქმნით პლანეტაზე ყველა ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს ან ცოცხალი ნივთიერების უშუალო მონაწილეობით ან ისეთ გარემოში, რომლის ფიზიკურ-ქიმიური პირობები განაპირობებულებს ცოცხალი ორგანიზმების მოქმედებით. დასკვნა ცოცხალი ორგანიზმების როლის შესახებ ჩვენს პლანეტის განვითარებაში, წარმოადგენს მთავარ სწავლებას ბიოსფეროზე და ცნობილია ვერნადსკის კანონის სახელწოდებით.

ბიოსფერო - ძალზე მაღალორგანიზებული ბუნებრივი სისტემაა ჩვენს პლანეტაზე ის უნდა განვიხილოთ, როგორც პლანეტარულ-კოსმოსური წარმონაქმნი და როგორც მატერიის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა მისი ევოლუციური განვითარების პროცესში. ბიოსფერო მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ლითონფერო, ფლორა და ფაუნა (ცოცხალი და არაცოცხალი). ყველა კომპონენტისათვის დამახასიათებელია ორგანიზაციის თავისი დონე, თუმცა ყველა მათგანს გააჩნია საერთო საწყისი გამოსავალი - ესაა ქიმიურ ელემენტთა ატომები.

ატმოსფეროს მდგომარეობა და შედგენილობა დამოკიდებულია ხმელეთთან და ოქანეთთან, აირ- და თბოცვლასთან. ჰიდროსფეროს წყლების შედგენილობა განაპირობებულია მასში ნიადაგდან, მთის ქანებიდან და ატმოსფეროდან ნივთიერებათა (ქიმიური ნაერთების) ჩადენილბაზე. ჰიდროსფეროს განვითარება პირდაპირად დამოკიდებულია მთის ქანების შედგენილობასა და ცოცხალი ნივთიერების ხასიათზე (ძირითადად მცენარეული). ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ბიოსფერო - ესაა არა ცალკეული ბიოლოგიური ან ნიადაგური, წყლის ან ჰაეროვანი წარმონაქმნი, არამედ სახეობით ახალი, მათგან განსხვავებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხობს სისტემის ვერჯინობის ცნებას, ე.ი. ახალი თვისებების ფლობას, რომელიც არც ერთი მისი კომპონენტისათვის არ არის დამახასიათებელი.

ბიოსფეროს მთავარ თვისებად უნდა ჩაითვალოს ცოცხალი ნივთიერების წარმოქმნა და მისი არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნა.

ბიოსფერო – ესაა ძალზე მდგრადი ბუნებრივი სისტემა და მასში, როგორც მის კომპონენტებში ყოველთვის დატულია კვაზი – წონასწორული მდგომარეობა, რომლის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ ექსტრემალური შემოქმედებით. ბიოსფეროს ცალკეულ რეგიონებში (ნაწილებში) კვაზი – წონასწორული მდგომარეობა შეიძლება დაირღვეს დიდი გეოლოგიური მოვლენებით (უელკანების ამოფრქვევა, მიწისძვრები და ა.შ.). თუმცა, ბიოსფეროსა და მის კომპონენტებს გააჩნიათ დარღვეული წონასწორული მდგომარეობის აღდგენის უნარი ან დაიწყო განვითარება ახალი, ადრეული სტადიით ე.ი. განახლებით.

ბიოსფეროს კვაზი – წონასწორული მდგომარეობა – ესაა მისი ფუნქციონალური და მოკიდებულება უფრო მაღალი რიგის სისტემაზე, ე. ი. პლანეტარულ-კოსმოსურ ორგანიზებულობაზე [3]. ამგვარად, ბიოსფერო – ესაა პლანეტარული ანდა პლანეტარულ – კოსმოსური სისტემის ქვესისტემა. ბიოსფერო ურთიერთქმედებს თავის პლანეტარულ გარემოცვასთან, ვითარდება კოსმოსის გარემოში და აქვს მასთან უკუკავშირი.

ბიოსფეროს მთავარ კომპონენტს წარმოადგენს ცოცხალი ნივთიერება. ცოცხალი ნივთიერებების გავრცელების საზღვარი განსაზღვრავს ბიოსფეროს საზღვრებს (ნახ.1). ბიოსფეროს ვერტიკალურად გააჩნია ზედა (ატმოსფერო) და ქვედა (გრუნტის წყლების დონე) საზღვარი. ბიოსფერო სივრცეში არაერთგვაროვანია (მოზაიკურია), რაც იწვევს ბიოგენური მიგრაციის დიდ მრავალფეროვნებას. გარემოსთან ცოცხალი ორგანიზმების ნივთიერებათა ცვლის ხასიათი პრინციპულად, განსხვავდება ამ პროცესისაგან მათი გაქრობის შემდეგ, რის გამოც განსხვავებულ სივრცულსდროინდელ და სიკვდილისშემდგომ ნივთიერებათა ბიოგენური გაცვლის ტიპებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ивлев А.М. Биогехохия. М. «Высшая школа» 1986.
2. Вернадский В.И. Проблемы биогехохимии. – В. кн: Труды биогехохимической лаборатории, 1980, т. 16.
3. Шипунов Ф.Я. Организованность биосферы. М; Наука, 1980.

Биосфера как природная система

K. Berialshvili, Sh. Shatirishvili, I. Shatirishvili (GTSXU)

Понятие о роде живого вещества в геологической истории Земли предложен и введен в геологию термин «биосфера». Этот термин использовался как понятие о сфере на нашей планете, где проявляется жизнь (сфера жизни).

Биосфера – наиболее высокоорганизованная природная система на нашей планете. Ее следует рассматривать и как планетарно-космическое образование, и как высшую форму организации материи в процессе ее эволюционного развития. Биосфера включает в себя такие компоненты, как атмосфера, гидросфера, литосфера, флора и фауна (живое вещество). Для каждого компонента характерны свои уровни организации, однако все они имеют исходное начало – это атомы химических элементов.

Состояние и состав атмосферы зависит от газо- и тепломассобмена ее с сушей и океаном. Состав вод гидросферы обусловлен поступлением в нее веществ (химических соединений) из почв, горных пород и атмосферы. Развитие педосферы находится в прямой зависимости от состава горных пород и характера живого вещества (в основном растительности). При этом следует иметь в виду, что биосфера – это не отдельные биологические или почвенные, водные или воздушные образования, а совершенно новое, отличное от них образование, отвечающее понятию эмерджентности системы, т.е. обладающее новым свойством, не присущим ни одному из ее компонентов. Квази-равновесное состояние биосферы – это ее функциональная зависимость от системы более высокого порядка, т.е. планетарно-космической организованности. Биосфера взаимодействует со своим планетарным окружением, развивается в среде космоса и имеет с ним обратную связь.

Главным свойством биосферы следует считать возникновение живого вещества и поддержание условий для его существования.

Biosphere – as the natural system

K. Berialshvili, Sh. Shatirishvili, I. Shatirishvili (GSAU)

The matter, the role of live organisms in geological history of earth is presented and included as the term – “biosphere”. (the sphere of life).

Biosphere is the wellorganized natural system on our earth. It should be considered as the planeteral – cosmical form and as the highest form of organization of matter in its evolutionary development process.

Biosphere consists of such components as are: atmosphere, hydrosphere, lithosphere, flora and fauna (live and notalive).

It is typical for each component to have its level of organization. Though each of them nasо common, initial outlet – they are atoms of chemical elements.

ბონინა-პარსოვოვიჩის საკითხი 1875-1878 წლებში ახლო აღმოსავლეთის კრიზისის დროს გაზეთ „დროზის“ მიხედვით

მ. გოგბერიძე
ს. გოგბერიძე

ნაშრომში ნახეხვება თურქეთის მფარველობაში მყოფი ბალკანეთის სლავი მოსახლეობის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის; ევროპის დიდი სახელმწიფოების მცდელობა თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის და ინგლის-რუსეთის დაპირისპირება ამ საკითხის ირგვლივ; საუბარია ჩან-სტეფენოს სახელით მოლაპარაკებასა და ბერლინის კონგრესის შედეგების შესახებ.

XIX საუკუნის II ნახევარში აღმოსავლეთის საკითხი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. კიდევ უფრო გაიზარდა ამ კვანძის როლი საერთაშორისო ურთიერთობაში და გამწვავდა მისი ნიადაგზე ვერობის დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა. ამ კვანძის ძირითად შინაარსად ისევ რჩებოდა დიდ სახელმწიფოთა მძაფრი წინააღმდეგობა თურქეთის იმპერიის დაყოფისა და მისი შემკვიდრების განაწილების თაობაზე, ბრძოლა კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ზონაში დამკვიდრებისათვის, ბალკანეთსა და მცირე აზიაში მოხიციების განმტკიცებისათვის. აღმოსავლეთის საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა და კრიზისულ მდგომარეობაში გადაიზარდა 1875 წლიდან, რაც დასრულდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომით. ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ძირითად საკითხებს წარმოადგენდა დაპირისპირება ბალკანეთსა და მცირე აზიაში, კერძოდ სომხეთის ირგვლივ.

1875 წელს ჯერ პეტროგოვიანაში, შემდეგ კი ბონინაში დაიწყო ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყება თურქეთის ცივილურ-ახსოლოტური უღლის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა თანაგრძნობა მიიღეს სერბიასა და ჩერნიგორიაში, ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ სამხრეთ სლავების ეროვნული გაერთიანებისათვის.

სერბების ეროვნული მოძრაობა პირველ რიგში მიმართული იყო თურქეთის წინააღმდეგ, მაგრამ საშიშროება წარმოადგენდა ავსტრია-უნგრეთისთვისაც, რომლის უღელქვეშ ცხოვრობდა მილიონობით სლავი. თურქეთის უღლიდან სლავთა ეროვნული განთავისუფლება მოასწავებდა ავსტრია-უნგრეთის უღელქვეშ მყოფი სლავების განთავისუფლებასაც. ისინი ყდობდნენ სლავებით დასახლებულ უზარმაზარ ტერიტორიებს და მათი განთავისუფლების შემთხვევაში დაკარგავდნენ მიწების მნიშვნელოვან ნაწილს. ამდენად ავსტრია-უნგრეთი ჯერ დაუშუბდა, რომ სლავების განთავისუფლების საქმე წარმატებით დამთავრებულიყო რუსეთს გაუღწა მოკავებია ბალკანეთის თუნდაც მცირე ნაწილზე. ასევე ავსტრია სასტიკი წინააღმდეგობა იყო ბალკანეთში “დიდი სლავური” სახელმწიფოს წარმოშობისა.

რაც შეეხება გერმანიას, ბისმარკი დაინტერესებული იყო და ყველანაირი ხერხებით ცდილობდა რუსეთი ჩაეთრია ერთი მხრივ თურქეთის წინააღმდეგ კონფლიქტში, მეორე მხრივ მიეღწია ინგლის-რუსეთის დაპირისპირებისათვის.

რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით დაინტერესებული იყო სრუტეების საკითხით. იმ პერიოდში ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს მკონდა უდიდესი მნიშვნელობა სამხრეთ რუსეთისათვის, განსაკუთრებით რუსეთის ეკსპრობისათვის. ამ საკითხში მისი მოწინააღმდეგე იყო ინგლისი, რომელსაც ეს სრუტეები აინტერესებდა, როგორც ევროპიდან ინდოეთში გასასუფელი. ორივე ეს ქვეყანა ცდილობდა არ დაეშა მოწინააღმდეგის ბატონობა და სრუტეებზე დაემყარებია საკუთარი კონტროლი.

ინგლისს ავსტრია-უნგრეთის მსგავსად არ უნდოდა დაეშა სლავების განთავისუფლება და რუსეთის გავლენის ზრდა ბალკანეთში. ბრიტანეთის მთავრობა ბალკანეთს თვლიდა პლაცდარმად, საიდანაც რუსეთს შეეძლო საფრთხე შეექმნა თურქეთის დღეაქვალისათვის. ამავ დროს დიზრადელი ემზადებდა გაუფრთხილებია თავისი სამფლობელოები ინდოეთში და დაემყრო ავღანეთი. ინგლისის მთავრობას სურდა კონტროლი დაეწესებია თურქეთის იმპერიაზე და რუსეთი ჩაეკეტა შუა ზღვაში, რის შემდეგაც რუსეთი დამოკიდებული გახდებოდა ინგლისზე.

ინგლისს კარგად ესმოდა, რომ ავღანეთის დაპყრობის შემთხვევაში შუა აზიაში იგი შეუჯახებოდა რუსეთს, ამიტომ პირისპირ, რომ არ აღმოჩენილიყო რუსეთის წინააღმდეგ შუა აზიაში გადაწყვიტა რუსეთთან კონფლიქტის საკითხი გადაეჭრა არა შუა აზიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთში, სადაც შეიძლებოდა ომის წარმოება სხვისი ხელით, კერძოდ ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის მიერ.

სლავთა აჯანყების დაწყების დროს ოსმალეთის მდგომარეობა საკმაოდ შერყეული იყო, მას იმ დროისათვის ეკვდა საკმაოდ ცუდი და გაუწვრთნიელი ჯარი, უჭირდა ფინანსურად და არ მკონდა არავის ნდობა. იმ შემთხვევაში თუ ეკვდა სლავური სახელმწიფო აღსდგებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და თუ ევროპის დიდი სახელმწიფოები არ ჩაერეოდნენ თურქეთის საქმეებში “ უწყველია ოსმალეთის საქმე ძალიან ჭანდრაკულად იქნება.

ძალაუნებურად იძულებული შეიქმნება, რომ ყველაფერი რასაც აჯანყებულებმა მოითხოვეს, დაუთმოს და ვინ იცის იქნებ სრულიადაც ჩამოეგდონ "მათ კისრიდან ოსმალეთის მიძე უღელი"- აცხადებს გაზეთი "დროება". [1]

ქვეშევრდებისადმი მოპყრობის გამო, თურქეთის ხელისუფლების შესახებ მისი განცხადებით, გამოთქმავდა უცხოური პრესაც: "ოსმალეთის უფლება მხოლოდ სამხედრო, მხედრო, მხედრო, მხედრო, მხედრო იყო დამყარებული და ყველამ დაინახა, რომ იმათ ხალხების მოვლა არ იცინა, რომ მარტო მხედრო მისი, რომელსამე ხალხში დაპყრობა და დამორჩილება დიდხანს არ შეიძლება, ხალხის მისახიდად სხვა ძალაა, მორალური და განათლების ძალაა საჭირო და არა მარტო ხრმლისა". [2]

როცა დაიწყო პერციოგოვინის აჯანყება, ანდრასმა განაცხადა პორტაში, რომ მას ვანილივდა თურქეთის წმინდა საქმედ. ამიტომ იგი არ აპირებდა მასში ჩარევას და რაიმე ფორმით თურქთა სამხედრო ოპერაციებისათვის ხელის შემშლას აჯანყებულთა წინააღმდეგ. ანდრასმა ვერ შეძლო ბოლომდე ამ პოზიციაზე დარჩენა. რუსეთის მთავრობმა აუცილებლად თვლიდა დახმარების აღმოჩენას აჯანყებულ სლავეებისათვის. ამით მას სურდა დაკარგული პრესტიჟის აღდგენა სლავეებში, რომელიც დაკარგა ყირიმის ომში დამარცხების გამო. ამავე დროს რუსეთის მთავრობას სულაც არ უნდოდა ავსტრია-უნგრეთთან სერიოზული კონფლიქტი, ამიტომ გადაწყვიტა ბალკანეთის საკითხში ჩარევა ავსტრია-უნგრეთთან კონტაქტში.

1875 წლის აგვისტოში გორჩაკოვმა ვენაში განაცხადა ერთბაშად ჩარევის აუცილებლობა თურქეთ-პერციოგოვინის ურთიერთობაში. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა აჯანყებულ პროვინციებს მიენიჭოს რუმინეთის მსგავსი ავტონომია. ანდრასმა კარგად ესმოდა, რომ განთავისუფლებული სამხრეთ სლავეების სათავადოები მჭიდრო ურთიერთობას დაამყარებდნენ ბოსნიასა და პერციოგოვინასთან და მოსალოდნელი იყო "დიდი სერბეთის" წარმოშობა, რომლის სასტიკი წინააღმდეგობა იყო ავსტრია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ანდრასმა მაინც დათანხმდა რუსეთს ერთობლივ მოქმედებაზე.

1875 წლის 30 დეკემბერს, ანდრასმა, პარიზის ტრაქტატის ხელმოწერის სახელმწიფოებს გადასცა ნოტა ბოსნიასა და პერციოგოვინაში მოსალოდნელი რეფორმების შესახებ. ანდრასის ნოტის მიზანი იყო, ეს პროგრამა მისაღები გამხდარიყო როგორც პორტას, ასევე აჯანყებულთათვის.

რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის იმპერატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ოსმალეთი იმავე სახედრებში და იმავე მდგომარეობაში დარჩენილიყო, როგორშიც ახლა იყო. მათ მიანდათ, რომ ჯერ არ დამდგარა დრო, რათა აღმოსავლეთის საკითხი შეცვლილიყო.

მიუხედავად ამისა, რომ ვეროის დიდი სახელმწიფოები გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, და რუსეთი თანახმა იყვნენ ოსმალეთის მთლიანობის შენარჩუნების საკითხში, იქვე აღნიშნავდნენ "დროა ოსმალეთმა გაიფოს, რომ აშკარად ხალხების მოპყრობა, როგორც ის ეყრება თავის ქვეშევრდომებს ჩვენს დროში შეუძლებელი საქმეა. დროა მოახდინოს თავის სახელმწიფოში ისეთი რეფორმები, რომელმაც ხალხის კანონიერი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს". [3]

დიდი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, მიუთხოვათ პორტასათვის შემდეგი ცვლილებების გატარება: ა) 1880 წლამდე ქვეყანაში არ უნდა გამოცვლილიყო დიდი ვეზირი; ბ) ოთხი მინისტრი: ფინანსთა, იუსტიციის, შინაგან და საგარეო საქმეთა უნდა ყოფილიყვნენ ქრისტიანები; გ) პარიზის ტრაქტატზე ხელმოწერე ექსპრეს სახელმწიფოს მონაწილეობა უნდა მიეღო თურქეთის შიდა საქმეების გადაწყვეტაში. დასავლეთის ქვეყნები თვლიდნენ, რომ თუ თურქეთი მიიღებდა მათ მიერ წამოყვებულ ცვლილებებს, ასეთ შემთხვევაში ოსმალეთის სახელმწიფო არ მოისპობოდა და ვერც სხვა სახელმწიფოები მითვისებდნენ მას, ეს კი მისი ქრისტიანი მოსახლეობისათვის უნებოდა დამაკმაყოფილებელი ცვლილება.

დაპირების შესაბამისად ხონტჰრის მიერ შემოსავლები რეფორმები ითვალისწინებდა, რომ პორტას ყველა ქვეშევრდომს მინიჭებოდა უფლება აერჩია თავისი მსაჯული, რომელიც შეიძლება მაჰმადიანიც ყოფილიყო და შეიძლება სხვა რჯულიც; მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის დავა ვაიროვდა სამოქალაქო სამსჯავრო ადგილებში; ვეროის ვერ დაატუსაღებდნენ უსამართლოდ და აკრძალული იქნებოდა ბრალდებულის მიმართ ცუდი მოქცევა; სარწმუნოდად უნდა შემსუბუქებულიყო გადასახადები, კერძოდ მისისპობოდა მყოფხელის გადასახადი და შემცირდებოდა მეთედის გადასახადი; პოლიცია აღარ ჩაერეოდა გადასახადის აკრუების საქმეში; გადასახადის ამრეფ პირებს თითოთი ხალხი აირჩევა და არ იქნებოდა სარწმუნოებრივი შესაზღვრა; საკუთრების შესახებ ახალი კანონის მიხედვით ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომს ექნებოდა უფლება საკუთრების შექმნის და შენახვის;

ორადე (რეფორმები) ხელახლა ამტკიცებდა ყველა იმ უფლებებს, რომელიც ჰქონდათ პატრიარქებს და სხვა სასულიერო პირებს მინიჭებული თავისი საეკლესიო საქმეების აღსარულებლად. მათ ენიჭებოდათ სრული თავისუფლება თავისი სარწმუნოების ეკლესიებისა და სკოლების გახსნაში. [4]

ყველა ეს სწორედ ის მოთხოვნები იყო, რომელსაც დიდი სახელმწიფოები პორტას



უყენებდნენ. ასეთ შემთხვევაში ომი უნდა დასრულდებოდა და დიდ სახელმწიფოს უნდა ეზრუნათ აჯანყებულებების დასამშვიდებლად. თუმცა ისინი სულაც არ ზრუნავდნენ ოსმალეთის ქვეყნადომების კეთილდღობაზე, არამედ მათ სულ სხვა გაბნეულ მიზნებს ეძებოდნენ. ოსმალეთის საზინაო საქმეების მონაწილედ გახდნენ.

ვენის კაბინეტის მიერ წარმოდგენილ პროექტს ინგლისი დაეთანხმა, თუმცა იქვე განაცხადა, რომ ამით არ შეივსოროვნებს თავის მოქმედების თავისუფლებას და თუ საჭირობამ მოითხოვა იგი არ მოიტყვევა ამ ნიჭის თანახმად.

ხონთკარი დათანხმდა ვენის კაბინეტის მიერ შედგენილი პროექტის მიღებაზე, ამ პირობით, რომ აჯანყებულებები დაყრიდნენ იარაღს და ბრძოლას შეწყვეტდნენ. ლორდი როსელი კი ურჩევდა აჯანყებულებს პერცივოვინაში, არ დათანხმებულყენენ ხონთკარის წინადადებას და სამადმისაც შეეძლოთ უთმათ. იგი ამბობდა, რომ "ყოველი დიდი სახელმწიფოების მიცდინება უბრალოდ მიდის და ხვანარბუხედ არაის სიტყვას არავითარი გავლენა არა აქვს"ო [5] როსელის ეს სიტყვები უთუოდ ყურადღების ღირსი იყო და ბევრი რამის ახსნა შეუძლო ევროპის მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ვენის გაუხუციებ ცარკვეული გულწიწროვითი საუბრობდნენ ოსმალეთის ამბებზე. მათი სიტყვით, თუ ხონთკარი ნებით არ დათანხმდებოდა ამ პროექტზე, მაშინ ავსტრია იძულებული იქნებოდა ძალით ემოქმედა.

აჯანყების მეთაურებმა იგრძნეს რა ვენის პროექტის მტრული ხასიათი, გადაჭრით უარი თქვეს მასზე და განაცხადეს, რომ არ დაყრიდნენ იარაღს, ვიდრე პორტას მხრიდან არსებობდა მიხლოდ სიტყვიერი დაპირებები და არ იქნებოდა სახელმწიფოთა მხრიდან რეალური გარანტიები. ამრიგად, ანდრასის დიპლომატიურმა ღონისძიებებმა კრახი განიცადა.

ურ მიადწიეს რა ბალკანეთში მშვიდობას დიდმა სახელმწიფოებმა რუსეთის ინიციატივით, კვლავ მოთხოვნა პორტას დაუყოვნებლივ დაედო დროებითი ზავი სერბიასთან ერთი თვის ვადით. პორტამ ამას უპასუხა თავისებური მანკებით და გააოთქვა მზადყოფნა ზავი დადებოდა იყო 5-6 თვით. რაც ნიშნავდა სერბიის კონტროლის ხანგრძლივ უკუაღკაცის და საზავო მოლაპარაკებების გატანურებას. რუსეთის რჩევით სერბიამ უარი თქვა ასეთ ხანგრძლივ დროებით ზავზე. თურქეთმა ინგლისის წაქეზებით განაახლა საომარი ოპერაციები, რომელშიც სერბები დამარტდნენ. რუსეთმა უღტიმატუმი წაუყენა პორტას სასწრაფოდ დაედო დროებით ზავი 4-6 კვირით, წინააღმდეგ შემთხვევაში ემოქმედებდა დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით. ამავე დროს რუსეთმა დაიწყო მობილიზაცია. შემსწინებული პორტა დათანხმდა მიედო რუსეთის მიერ წამოყენებული წინადადებები.

რუსეთის დიპლომატიამ გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი, რათა ბალკანეთის საკითხი გადაეჭრა ომის გარეშე და დააყენა საკითხი კონფერენციის მოწვევის თაობაზე კონსტანტინოპოლში. რუსეთის წინადადებას მხარი დაუჭირა ყველა დიდმა სახელმწიფომ. რუსეთის წარმომადგენელად კონფერენციაზე დაინიშნა გრაფი ივანტაივი, ინგლისისა ლორდი სოლსბერი, რომელიც ითვლებოდა ინგლისის კაბინეტის ზომიერი ჯგუფის წარმომადგენლად და რომელიც მომხრე იყო რუსეთთან შეთანხმებას.

კონფერენცია გაიხსნა 1876 წლის 11 დეკემბერს. სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეთანხმდნენ ავტონომიის პროექტზე ბოსნიის, პერცივოვინისა და ბულგარეთისათვის. მათ ავტონომიურ მოწყობაზე კი დაკვირვება უნდა ეწარმოებინა ყველა დიდი სახელმწიფოს მიერ დაინიშნულ კომისარს.

ევროპა შიშით უყურებდა რუსეთის ჯარის სტამბულთან მიახლოებას. 1878 წ. 3 მარტს ხან-სტეფანოს ხელი მოეწერა საზავო პირობებს, რომელიც 29 მუხლისაგან შედგებოდა. ზავის მიხედვით დამოუკიდებლობას ღებულობდა: ა) სერბია, ჩერნოვოცია, რუმინეთი, ბულგარეთი. თურქეთის ჯარს უნდა დაეტოვებია ბულგარეთის ტერიტორია, სანაცვლოდ აქ დარჩებოდა რუსეთის 50 ათასი ჯარისკაცი, ვიდრე არ შეიქმნებოდა ადგილობრივი მილიცია; ბ) ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა კონტრიბუცია 1.410 ათასი მანეთი მანეთს, აქედან 900 მილიონი იყო ხაკუთრივ ომის ხარჯები, 400 მილიონი ვაჭრობის ზარალისათვის, 100 მილიონი კავკასიის ზიანისათვის და 10 მილიონი ოსმალეთში მცხოვრები რუსების ზიანისათვის; გ) რადგან ოსმალეთს პქონდა მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ამიტომ რუსეთს გადაეცემოდა ტულხას ხანჯაყი ბესარაბიაში გასაცვლელად, ყარსი, არდაგანი, ბათუმი და ბაიაზეთი; დ) რუსეთის ჯარი უნდა გამოხულიყო ოსმალეთიდან და შავი და მარმარილოს ზღვით დაბრუნებულიყო სამშობლოში. [6]

სან-სტეფანოს შეთანხმება მნიშვნელოვნად აძლიერებდა რუსეთის ცარიზმის გავლენას ბალკანეთში, რაც მიუღებელი იყო ევროპის დიდი სახელმწიფოებისათვის და მათ მიადწიეს კიდევ, ხან-სტეფანოს ხელშეკრულების გადახედვას. ბერლინის კონგრესზე, რომელიც გაიხსნა 1878 წ. 13 ივნისს, დამოუკიდებლობა მიედო ჩერნოვოციაში, სერბიამ და რუმინეთმა. ხან-სტეფანოს შეთანხმების მიხედვით გადაწედა ბესარაბიისა და დობრუჯას საკითხი: რუსეთს გადაეცემოდა ბესარაბია, სანაცვლოდ კი რუმინეთს დაუთმობდა დობრუჯას. ბულგარეთმა მიიღო ავტონომია. თურქეთის მოთხოვნით სოფიის ხანჯაყი გადაეცა ბულგარეთს, სანაცვლოდ პორტამ მიიღო უფლება შეეყვანა ჯარი აღმოსავლეთ რუმელიაში, რომელიც მდებ

ბარეობდა სამხრეთ ბულგარეთში, ბალკანეთის უღელტეხილის სამხრეთით. რუსეთის ჯარების ოკუპაციის ვადად დადგინდა 9 თვე. რუსეთსავე რჩებოდა მისა ბულგარეთის სათავადოში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებისა. ბოსნია და ჰერცეგოვინა გადაეცა ავსტრია-უნგრეთს.

მრიგად, თურქეთის იმპერიის ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებებს იყენებდნენ მის სამხრეთ საქმეებში ჩარევისათვის და ქრისტიანების დაცვის საბაბით აიძულებდნენ პორტას დათმობებზე წასულიყო.

ინგლის ბერლინის კონგრესის მიმდინარეობის პროცესში ყველანაირად ცდილობდა შემცირებულყო რუსეთის ის მიწები, რომელიც სან-სტეფანოს ხელშეკრულებით გადაეცა მას. თუმცა, ინგლისის დიპლომატიის მცდელობის მიუხედავად რუსეთმა მაინც მიიღო იმ ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გათავალისწინებული იყო ამ ხელშეკრულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. "უცხო ქვეყნები", იხ. გაზ. "დროება", 1875 წლის 17 ნოემბრისთვის (ავგვისტო) ნომერი N93, გვ. 3
2. "უცხო ქვეყნები", იხ. გაზ. "დროება", 1875 წლის 3 ქრისტეშობისთვის (დეკემბერი) ნომერი N137, გვ. 2
3. "უცხო ქვეყნები", იხ. გაზ. "დროება", 1875 წლის 20 ნოემბრისთვის (ავგვისტო) ნომერი N94, გვ. 3
4. "უცხო ქვეყნები", იხ. გაზ. "დროება", 1875 წლის 19 ქრისტეშობისთვის (დეკემბერი) ნომერი N144, გვ. 2-3
5. "უცხო ქვეყნები", იხ. გაზ. "დროება", 1876 წლის 30 იანვრის ნომერი N11, გვ. 3
6. "იმის ამბები", "ტელეგრაფები", იხ. გაზ. "დროება", 1878 წლის 10 მარტის ნომერი N50, გვ. 1-3

Вопрос Боснии-Герцеговины во время ближневосточного кризиса 1875-1878 гг. согласно газеты Дроэба

Гогіберидзе М.И. (ГСХУ)

Основным источником статьи является газета «Дроэба», которая следила за развитием мировых событий во второй половине 19 века. Ближневосточный кризис обострился в 1875-1878гг и завершился русско-турецкой войной 1877-1878 гг.

Ближневосточный кризис вызвал обострение отношений между крупными капиталистическими странами Европы. В основу острового разногласия стоял вопрос распада турецкой империи и раздела его имущества. Поводом для кризиса являлось противостояние между Балканами и Малой Азией-вокруг Армении.

Страны Европы использовали восстания христианского населения турецкой империи для вмешательства в ее внутренние дела и под предлогом защиты христианства вынуждала Порту идти на некоторые уступки. Несмотря на победу в русско-турецкой войне, Россия не достигла тех ожидаемых значительных результатов. Англия в ходе Берлинского конгресса всячески старалась сократить земли которая Россия получила в результате соглашения Сан-Стефано. Хотя, несмотря на усилия английской дипломатии Россия все же получила значительную часть этих территорий. Русско-турецкая граница была установлена у стен Батуми и Карса.

Question of Bosnia-Herzegovina during Near-Eastern Crisis of 1875-1878 According the Newspaper "Droeba"

M. Gogiberidze (GSAU)

The basic source of article is a newspaper "Droeba", which watched the development of events happening in the world in the second half of 19 century. Near-Eastern crisis has become aggravated in 1875-1878гг and ended with Russian-Turkish war in 1877-1878.

Near-Eastern crisis has caused strain of relations between the large capitalist countries of Europe. The basis of this disagreement was a question of disintegration of Turkish empire and division of its property. In the center was the opposition between the Balkans and Small Asia-around Armenia.

The European countries used the revolts of the Christian population of Turkish empire for intervention in its internal affairs and under the pretext of protection of Christianity compelled Porta on some concessions. Despite the victory in Russian-Turkish war, Russia has not reached those expected considerable results. Though, despite the efforts of English diplomacy Russia nevertheless has received a considerable part of these territories. The Russian-Turkish border has been established at Batumi and Kars.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკითხი 1875-1878 წლების ბლიზნევისტოვანი კრიზისის დროს

მ. თაგბერაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

სტატიის ძირითადი წყაროა გაზეთი «დროება», რომელიც აკვირდებოდა მსოფლიო მოვლენებს მეორე ნახევარში 19 საუკუნის ბოლოს. ბლიზნევისტოვანი კრიზისი დაწინაურდა 1875-1878 წლებში და დასრულდა რუსო-თურქული ომით 1877-1878 წლებში. ბლიზნევისტოვანი კრიზისი გამოიწვიოდა ევროპის დიდძალი ქვეყნების მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაშლის საკითხის შესახებ. კრიზისის საფუძვლიან მიზეზს წარმოადგენდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაშლის საკითხი. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაშლის საკითხი დაიწყო არაბალკანური კრიზისის გამო. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაშლის საკითხი დაიწყო არაბალკანური კრიზისის გამო. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაშლის საკითხი დაიწყო არაბალკანური კრიზისის გამო.

მოთხოვნის და დაკმაყოფილების მიზნად, ბოსნიის ხელისუფლებამ დაიწყო რუსეთს მიმართული დიპლომატიის მცდელობები, რათა რუსეთს გადაეცა მისი ბალკანური ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გათვალისწინებული იყო ამ ხელშეკრულებით.



ქალღმერთმა ისივამ ასწავლა. ბერძნული მითის მიხედვით, ზევსის გადაწყვეტილებით, აღლადარსებული ქალაქის მფარველი ის ღმერთი გახდებოდა, რომელიც ყველაზე ხასხარაბლო საჩუქარს გაუკეთებდა ქალაქის მცხოვრებლებს. ერთმანეთს ზღვათა შორის მტრობდა ზეფიონი და სიბრძნის ქალღმერთი ათენა შერკინებთან. პოსეიდონმა დაძვინჯა ქალაქი, კლდე და იქიდან გამოიბტა რაში, რომლის მხედარი ყველა ბრძოლაში გამარჯვებული გაიშვილდა. ათენამ კი მოვიდა ამოცანა ზეთისხილი - ხაოცარი ხე, რომლის ჩრდილი დაფარავდა ადამიანს შიხს სხივებისაგან, შუშა გაათბობდა ცივ ღამეებში, ნაყოფი შიმშილის მოუკლავდა, ხოლო მისი მარცვლებიდან გამოხდილი ზეთი ვანმრთელობას შეუნარუნებდა.¹ ხალხმა ზეთისხილი ყველაზე სისარგებლო საჩუქრად აღიარა [2,3]. ღმერთის საჩუქრად მიიწვედნენ ზეთისხილს ამოხაველშიც - ღვეკნების თანახმად, მთავარანგელოზმა გაბრიელმა ტკივილებიდან დატანჯულ ადამს ზეთისხილი გადასცა და უთხრა: დარგე და რიფე მისი ნაყოფი და მისგან ზეთი გამოხადე, რომელიც ყველა დაავადებისაგან განგკურნავს და ყველა ჭრილობის მოგიშუშებს [2].

ზეთისხილი ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, მათ შორის, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში - ზეთისხილის ტრტები და ფოთლები გვხვდება ძველ ეგვიპტელთა სამარხებში [1,6]; ძველ ბაბილონში აღმოჩენილია ღურსმული წარწერა - ხელშეკრულება ვინმე ხინ-აშარედის მიერ უმადლესი ხარისხის ზეთისხილის ზეთის ყიდვის თაობაზე [2]. საბერძნეთის ერთ-ერთ კონსულზე, გათხრების დროს ნაპოვია ზეთსახდელი მოწოდებობა, რომელიც ქრისტიანობამდე 2-3 ათასი წლით თარიღდება [4,14]. არანაკლებ საგულისხმოა დრუიდების ანტიროლოგიური კალენდარი, შედგენილი 2000 წლის წინ, რომლის მიხედვითაც, ზეთისხილი შემოდგომის ბუნებას აღნიშნავს [5,12].

ბრავალი ხალხის რელიგიასა და კულტურაში ზეთისხილს - წმინდა ხეს, „ხეთა ხეს“, „ყველა ხეთაგან უპირველესი“ [4,15] - გამორჩეული ადგილი უკავია და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ძველ საბერძნეთში ზეთისხილისაგან ღმერთების გამოხასხულებების კეთდნენ [1,5]; წარღების შემდეგ ნუსეს კიდობინდან გაშუვებულმა ფრინველმა სწორედ ზეთისხილის რტო, ღმერთსა და კაცს შორის მშვიდობის ნიშანი მოიტანა - აქუნდა ზეთისხილისა ფურცელი რტოთა პირთა შინა მისსა და ცნა ნოემ, რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქუქყანისა „წიფნი დაბადებისა,8,11“. ისლამურ ტრადიციებში ზეთისხილი სიცოცხლის სიმბოლოა, აგრეთვე წინასწარმეტყველისა და აბრამის სიმბოლო [3]. ფარაონებსა და იუდეველ მუევებს კურთხევის დროს შუბლზე ზეთუნის ზეთს უხვამდნენ [4,15]. ზეთისხილის რტოთა გვირგვინებით ამკობდნენ ანტიკურ ხანაში ოლიმპურ სამარხ-სოპებში გამარჯვებულს. ძველ რომში დამორჩილებული ხალხის ეჩვენეს წინააღმდეგობის შეწყვეტის დასტურად იმპერიის ხელისუფალთათვის ზეთისხილის რტოები მიჰქონდათ, პატარაძეები უმანკობის ნიშნად კაბაზე ზეთისხილის რტოს იმაგრებდნენ ან ხელში ეჭირათ მისი ტრტები, იაბონიაში ზეთისხილის ხე მეგობრობისა და წარმატების სიმბოლოა, ჩინეთში - სიმშვიდისა და აუღელვებლობის [3]. ესპანურ ზემორსივყვერებაში ზეთისხილის ხე (olivo) სიმტკიცის სიმბოლოა [6], ხოლო თავად ზეთისხილი რომის იმპერიის ეპოქაში ქვეყნის სიმბოლო იყო - ადრიანეს მონეტებზე ზეთისხილის რტო გამოხასხულია, როგორც ესპანეთის არტიბუტი [7].

რომაელი პოეტის, მარციალიხის ცნობით, ბეტისის² ნაპირებზე გაშენებული იყო ზეთისხილის პლენი [8], ხოლო რომელი მწერლისა და სწავლულის, პლინიუსის მტკიცებით, არცერთ სხვა რეგიონში ნიადგი არ იყო ზეთისხილის მოხაშენებლად ისეთი ხელსაყრელი, როგორც ანდალუსიაში, თუმცა იგი დუსიტიანის³ ზეთისხილის ბაღებსაც მოიხსენიებს [7]. რომელიც ატორები (პლინიუსი, სტრაბონი და სხვები) ხშირად აღნიშნავდნენ ამ რეგიონის ზეთუნის ზეთის განსაკუთრებულობას. ბეტისის⁴ მშენებელი ზეთუნის ზეთი დიდი რაოდენობით იგზავნებოდა იმპერიის დედაქალაქში [8,7]. მოგვიანებითაც, ვესტოთების ბატონობის ხანაში, ზეთისხილი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურად რჩება. ზეთისხილის ხე მინერელი იყო ყველაზე ძვირ მუ-

¹ ზეთისხილის ხე ერთ-ერთი საუკეთესო საშენებლო მასალადაა და გამოიყენებოდა გუმოშენებლობაში. მაგალითად, კონსტანტინე ვემის ცაღკულე ნაწილის დაშლადებისას უპირატესობა ზეთისხილს ენიჭებოდა [1,5].

² შენიშულია, რომ ამკავალი გააზრება ზეთისხილის რტომ რომელი ტრადიციის გაკვლით მიიღო. თავდაპირველად იგი მხოლოდ გამძლეობის სიმბოლო იყო [3].

³ მინარე ვეადლეკეიონი [8].

⁴ დუსიტიანის - სახელწოდება ძველრომაული პროვინციისა იბერიის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში, რომელიც მოიცავდა დღევანდელი პორტუგალიის თითქმის მთელ ტერიტორიას მინარე დეკროში (ჩრდილოეთით) და დღევანდელი ესპანეთის რეგიონების - ესტრემადურის, კასტილიისა და დელის ნაწილს. პროვინციის სახელწოდება წარმოიშვა დღევანდელ პორტუგალიელთა წინაპრების - დუსიტანების სახელიდან (შენიშნა ეკუთვნის ფილოლოგს, მთარგმნელს, სალამანკის უნივერსიტეტის დოქტორანტს სოფიო შილაკასეს).

⁵ ბეტისა - სახელწოდება ძველრომაული რეგიონისა იბერიის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, რომელიც მოიცავდა დღევანდელ ანდალუსიას, ესტრემადურის სამხრეთს და დღევანდელი პორტუგალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს. VIII საუკუნეში არაბებმა მას „ანდალუსი“ უწოდეს (შენიშნა ეკუთვნის ფილოლოგს, მთარგმნელს, სალამანკის უნივერსიტეტის დოქტორანტს სოფიო შილაკასეს).



ნარეღ, რომელიც გარდა რომაელებისა, მოჰყავდათ ვითებსაც [11]. არაბების საუკუნეობისა და ტონობად თავისებური კვადი დატოვა – ესპანურ ენაში ზეთისხილის ნაყოფის მისჯარა მოხდელი ზეთისა და თავად მცენარის აღხანიშნავად გვხვდება შემდეგი სიტყვები: *az-zait'* – ზეთისხილის წვენი, *aceituna* (არაბ. *az-zaituna*) – ზეთისხილის ნაყოფი *aceituno* – ზეთისხილის ხე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ პარალელურად იხმარება სიტყვები, რომელთა ძირები ბერძნულ-ლათინურ ენებში ეძებნება: *oleo* – *oleum* (ლათ.) ← *elaion* (ბერძ.) – ზეთუნის ზეთი, *oliva* – *olea* (ლათ.) – *elaia* (ბერძ.) – ზეთისხილის ნაყოფი [8]. აღნიშნული სიტყვები რომ სინონიმებია, ამას ესპანური ანდაზაც ადასტურებს: „Olivo y aceituno, todo es uno“ [12]. საუკუნეების შემდეგ ესპანელმა კონკისტადორებმა ზეთისხილი ახალაღმოჩინებულ მიწებზედაც გაავრცელეს – შორეულ ნაოსნობაში მისი მნიშვნელოვანი როლი იქცა კაპიტანი ვალდებულ იყო, ზეთისხილი ჩაეტანა სამეფოს კოლონიებში [2].

ზეთისხილის ნაყოფი და მისგან გამოხდილი ზეთი ერთ-ერთი ძირითადი საკვები იყო ხმელთაშუა ზღვის მოსახლეობისათვის. ამიტომაც ამბობენ ესპანელები: „El vino calienta, el aceite alimenta“ (ღვინო ათბობს, ზეთი კვებავს) [12]. შესაბამისად, ზეთისხილის უხვი მოსავალი კარგი წელიწადის ნიშანი იყო („Aceite abundante buen año por delante“ [12]), რადგან მიწის მუშისათვის კარგი წელიწადი, მაძღარი წელიწადია. შემთხვევითი არც ის არის, რომ ზეთისხილი მისწეული იყო ოჯახის ბედნიერების საწინდრად – „Quien tiene olivares y viñas, bien casa a sus niños“ (ვისაც ვენახები და ზეთისხილის ბაღები აქვს, ქალიშვილებს კარგად ათხოვებს) [12]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზეთისხილი სხვაგვარადაც უკავშირდებოდა ქორწინებას – ზეთისხილის ბალი, სადაც ქალები და ვაჟები მოსავლის აღებისას ერთად მუშაობდნენ, ხშირად საბედლოსთან შეხვედრის ადგილი იყო:

„Apañando aceitunas

se hacen las bodas;

El que no va a aceitunas

no se enamora“ [6,366,IV];

(ზეთისხილის კრეფიდან იწყება ქორწილი

და ვინც ზეთისხილის ბაღში არ შევა,

არავინ შეუყვარდება).

ესპანელების აზრით, კერძებს განსაკუთრებულ გემოს ზეთი ანიჭებს – „La mejor cocinera. la aceitera“ (საუკეთესო მზარეული ზეთს არ იშურებს) [12]. ამასთანავე, საუკეთესო ზეთი მხოლოდ ზეთისხილის ნაყოფისაგან მიღებული ზეთია: „Pan de trigo, aceite de olivo y de para el vino“ (პური ხორბლისა, ზეთი ზეთისხილისა და ღვინო ვახისა) [12]; ზეთი, რომელსაც შეუძლია, უბრალო პურიც კი გემრიელ კერძად აქციოს – დაჭრილ პურს კარგად გაჟღინთავენ ზეთუნის ზეთით და შეაზაგებენ მარილით, ნივრითა და წიწკით. ეს საჭმელი იმდენად გემრიელი და ნიუიერია, რომ მცირე რაოდენობითაც კი აკმაყოფილებს ადამიანს და ზრდის მცხუნვარე მზეზე მუშაობის უნარს [4,6]. თუმცა, გურმანების აზრით, არსებობს კერძები, რომლებსაც განსაკუთრებით უხდებათ ზეთით მომზადება – „El pez ha de nadar tres veces: en agua, en vino y aceite“ (თევზმა ჯერ წყალში უნდა იცურაოს, მერე ღვინოსა და ზეთში) [12].

ესპანურ ანდაზებში ასახულია ხალხის ცოდნა და სამეურნეო გამოცდილება ზეთისხილის თვისებების, მისი მოყვანისა და შოვლის თაობაზე. ასე, მაგალითად, ესპანელებმა იციან, რომ ზეთისხილი, რაც უფრო ასაკოვანია, მით უფრო მსხმოიარეა⁹ – „Casa del padre, viña del

⁶ არაბული სიტყვების ეტიმოლოგიისათვის მადლობას ვუხდით ფილოლოგს, მთარგმნელს, აინ-შამის უნივერსიტეტის (კაირო, ეგვიპტე) ასისტენტ-პროფესორსა და ხალამანის უნივერსიტეტის დოქტორანტს მონა მასენს.

⁷ ესპანური ანდაზებისა და ესპანურენოვანი ტექსტების თარგმანისას ვაწველი დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ფილოლოგს, მთარგმნელს, ხალამანის უნივერსიტეტის დოქტორანტს სოფი შილაკაქს.

⁸ და, შესაბამისად, საგზადიც:

“Córdoba.

Lejana y sola.

Jaca negra, luna grande,

y aceitunas en mi alforja.

Aunque sepa los caminos,

yo nunca llegaré a Córdoba“ [9,228];

(კორდოვა.

მარტოხედა და შორეული.

შავი ქურანი, სავსე მივარე

და ზეთისხილი

ჩემს ჩანთაში.

თუმცა ცნობილია ჩემთვის ყველა გზა,

კორდოვას მაინც ვერ მივალწვე“ [10,73].

⁹ ზეთისხილის ხე მსხმოიარობას სხვადასხვა ასაკიდან იწყებს: თუმცა სრულ მსხმოიარობაში 30-40 წლიდან შულის, ძლიერ მოსავალს 200-300 წლამდე იძლევა [13,13-14].



abuelo y olivar del bisabuelo" (სახლი მაშის, ვენახი ბაბუისა, ზეთისხილის ბაღები დიდი ბაბუისა) [12]. „Olivo, vino y amigo, el mejor el más antiguo“ (ზეთისხილის ხე, ღვინო და მეგობარი რაც უფრო ძველია, უკეთესია) [12]. ზეთისხილის ბაღები, როგორც ცული მოველილე, უფროსი მანძილზე მოუტანს პატრონს მოგებას – „El olivar hace el bien, aunque le hagan el mal“ (ზეთისხილის ბაღები ხარისხიანი მოგებას მოიტანს, თუცა მათზე ცუდი რამე მოხდეს) [12]. „El olivo hacerte ha bien si le haces mal“ (ზეთისხილს ცუდი რომ გაუკეთო, მაინც სიკეთეს გიტანს) [14]. ხოლო მოველილი ზეთისხილი, ხალხის აზრით, ასამაგად გადაუხდის სიკეთეს თავის პატრონს – „El olivo es más agradecido que la gente, por cada beneficio te devuelve veinte“ (ზეთისხილი უფრო მადლიერია, ვიდრე ხალხი, ერთი სიკეთის წილ ოცს მოგაუბებს) [12]. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ვაერცხვლებული იყო მოსახრება, თითქმის ზეთისხილი არ საჭიროებს მოვლას [8,94]. ამასვე ამტკიცებენ ეგვიპტელი ფელახებიც¹¹ – „ვახი ნახი ქალბატონია, ყოველდღიურ მოვლას რომ საჭიროებს, ფინიკი არამომთხოვნი გლეხის ქალია, ხოლო ზეთისხილი – მივიწყებული, მაგრამ მაინც მომუშავე გლეხის ქალი“ [15]. თუმცა გვხვდება აღნიშნული მოსახრების საპირისპირო თვალსაზრისიც: პლინიუსის შენიშვნით, უდავოა, რომ ზეთისხილისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგსა და კლიმატს, თუმცა ვაზივით ისიც საჭიროებს გასხვლასა და ნახუფთავებას [8]. ერთი იტალიური ანდაზის თანახმად, ვინც ზეთისხილის ბაღი მოხსნა, ის ვაყოფის მოცემას თხოვს, ვინც ნიადაგი გაანაყოფიერა, ის ნაყოფის მოცემას იხვეწება, ხოლო ვინც იგი გასხლავს, მან ნაყოფის მოცემა აიძულა [8].

ესაჩვენა გლეხმა იცის, რომ ნიადაგი, რომელიც კარგია ვაზისთვის, არ გამოდგება ზეთისხილისთვის – „Blanquiazares para viñas, que no para olivares“ [12]; იცის, რომ თუ ზეთისხილი აპრილში აყვავდება, ადრეულ ნაყოფს სცივე დააზიანებს და ასეთი ნაყოფისაგან გამოხდილი დაბალი ხარისხის ზეთი ღამაპარისთვის თუღა გამოდგება – „Flor del olivo en Abril, aceite para el candil“ (ზეთისხილის ყვავილი აპრილში, ზეთი ღამაპარში) [12], მაგრამ მაისში აყვავებული ხეებისაგან კაცი კარგ მოსავალს უნდა ელოდოს – „Flor del olivo en Mayo, aceite para todo el año“ (თუ ზეთისხილი მაისში ყვავის, ზეთი მთელი წლის სამყოფი იქნება) [12]; იცის, რომ იანვრამდე ზეთისხილის დაკრეფა არ უკეთესი – „El que coge aceitunas antes de Enero, deja el aceite en el madero“ (ვინც ზეთისხილს იანვრამდე დაკრეფს, ზეთს ხეზე ტოვებს) [12], რადგან ამ დროს ხეს ჯერ კიდევ არ მოუხსამს სრულად მარცვლები და მოსავლის აღების შემდეგ გამოხული ნაყოფი, შესაბამისად, ზეთი, ხეზევე დარჩება.

საულისხმოა ანდაზებში ასახული ხალხის ხამუერეო დაკვირვებები – როგორც წელიწადი იქნება უხეშოსავალი, რდის უნდა დაეთხოვს ესა თუ ის ბოსჩიყული, რომ კარგი მოსავალი მოვიდეს და ა.შ.; მაგალითად, „Si no lloviere en febrero, ni buen prado, ni buen centeno“ (თუ თებერვალში არ იქვინებს, არც მინდორი იქნება კარგი, არც ჭვავი) [14]. „Año de nieves, año de bienes“ (თოვლიანი წელიწადი მოსავლიანი) [14]. Por Santiago el buen nabo ha de estar sembrado“ (თალღამის რომ კარგად მოვიდეს, წმინდა იაკობის დღეს [25 ივლისი] დათესე) [16] და სხვა. მსგავსი სამუერეო დაკვირვებები გვხვდება ზეთისხილთან დაკავშირებითაც. ზეთისხილის მოსავლის წინასწარ განსაზღვრისათვის ათელის ერთგვარი წერტილი იყო თიანე ნათლისმცემლის დღე – 24 ივნისი. თუ ამ დღეს და წმინდა პეტრეს დღეს (29 ივნისს) ზეთისხილის ხეებზე მარცვლები იქნება, ეს კარგი მოსავლის ნიშანია – „Si por San Juan y San Pedro en tu olivar acitunas hallas, una aqui y otra allá, buena cosecha habrá“ (თუ წმინდა იოანეს დღისათვის და წმინდა პეტრეს დღისათვის შენს ზეთისხილზე აქა-იქ მარცვლებს აღმოაჩენ, კარგი მოსავალი გექნება) [12]. „Aceituna, una por San Juan y ciento en Navidad“ (ზეთისხილი წმინდა იოანეს დღეს ერთი მოდის, სამშობლად – ასი) [12].

ზეთისხილის ზეთი, რომელსაც უძველესი დროიდან „თხიერ ოქროს“ უწოდებდნენ, გამოიყენებოდა ცალკეული დაავადების სამკურნალოდ¹², აგრეთვე ჯანმრთელობისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად: „Aceite y vino, bálsamo divino“ (ზეთი და ღვინო ღვთაებრივი ბალსამია) [13] [12]. – ამტკიცებენ ესპანელები. ამასთანავე, „Aceite de oliva, todo mal quita“ – ზეთისხილის ზეთი ყველანაირ ხუნს კურნავს; ხალხის დაკვირვებით, „Si quieres llegar a viejo, guarda aceite en el pellejo“ (თუ გინდა ხობერემდე მიაღწიო, ზეთს ხე დაიკლუბ) [12]. თუმცა, როგორც ყველა წამლის მიღებისას, ამ შემთხვევაშიც ზომიერების დაცვაა საჭირო: „Aceituna, una es oro, dos plata, la tercera mata“ (ზეთისხილის ერთი მარცვალი ოქროა, ორი ვერცხლია, სამი კლავს) [12].

¹⁰ პროვანსული ანდაზის თანახმად, ადამიანი თუთას კრებს თავის დარღული ხიდან, წაბლს – მამამისის დარღული ხიდან, ხოლო ზეთისხილს – ბაბუამისის დარღული ხიდან [8,250-251].

¹¹ ფელახი – ბინადრი (არამომთაბარე) გლეხი.

¹² აღმოსავლეთში ზეთისხილის ზეთი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალო საშუალებად [3,215]. ეპიფორუსის მტკიცებით, ზეთისხილი კარგი საშუალებაა მორყეული კბილების გასამკურნებლად. ცალკეული ავადმყოფობის (მაგ., ნაღვლის ერეგების) წინააღმდეგ [4,6-7] და თავის ტკივილის წამალიცა [8,254]. არაჩაკლებს დავიდლისხმოას ის გარემოებაც, რომ „გრამიულტთან“ შერკინებისას დაბეგული, ტკივილისაგან შეწყვეტილი დიდი კიბოტი უებარი ბალსამის დასამზადებლად, ღვინის, მარილისა და ხაქმელას გარდა, იყენებს ზეთს [17,141-142].

¹³ პლინიუსის მტკიცებით, არსებობს ორი ხიხე, რომლებიც განსაკუთრებით სასიამოვნოა ადამიანისათვის – ღვინო დასაღვავად და ზეთი დასახელოდ [8,93].



ზეთისხილის მოსავლის აღების ორი ძირითადი წესი არსებობს – მარცვლების ხელოვნური დაკრეფა და ხის ტოტებიდან ნაყოფის კეტი ჩამოყრა. ესპანელები უპირატესობას მარცვლების ხელოვნურ კრეფას ანიჭებენ. ხალხის მტკიცებით, „Quien a los propios olivos varea a su propia caudex“ (ვინც ზეთისხილის ხეებიდან ნაყოფს ჯოხით ყრის, საკუთარ ქონებას ურტყამს, ვინცს რაფაქა კეტი ჩამოყრილი და მიწაზე დაყრილი მარცვლები ზიანდება და ნაკლებად გამოდგება ხარისხიანი ზეთის გამოსახდელად.¹⁴ მაღალი ხეებიდან ნაყოფის დაკრეფისათვის გამოიყენებოდა კიბეები¹⁵, ძირს დაცვენილ ნაყოფს კი ქაღები აგროვებდნენ. საულისხმოა ესპანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომლებშიც აღწერილია მოსავლის აღების ეს წესი:

„Para coger las olivas son menester escaleras para llegarlas del suelo casaditas y doncellas“¹⁶

(ზეთისხილის მოსაკრეფად საჭიროა კიბეები, ძირიდან ასაკრეფად – ქაღები და გოგონები¹⁷);
საინტერესოა არაგონსა და ნავარაში გავრცელებული ხოტაც:

„Las olivas del olivo se cogen con escaleras y las que se caen al suelo casaditas y doncellas“^{[6,347,№2];}

(ზეთისხილის მარცვლებს კიბეებით კრეფენ, ძირს დაცვენილ ნაყოფს ქაღები აგროვებენ).

მაგრამ ესპანელებისათვის ზეთისხილი მხოლოდ „სიმტკიცის სიმბოლო“ ან „ოქროს მარცვალი“ არ არის. ესპანელები ქაღს ზეთისხილს ადარებენ:

„Mujeres y aceitunas son todo uno. Tienen la carne blanda y el hueso duro“^{[6,366,IV];}

(ქალი და ზეთისხილი ერთნაირია – გარედან რბილი, შიგნიდან მკვრივი);

ქუჩაში გადავადებულ ზეთისხილის კურკას თან ატანენ წარსულის დარღვებს – „Aceituna comía, hueso a la calle (a olvidar el pasado infeliz)“ (ზეთისხილი შეჭმულია, კურკა ქუჩაში გადავადე – უბედური წარსულის დასავიწყებლად), ხოლო მის ნაყოფს ამგვარად განადიდებენ:

„¡Ay, fortuna, cógeme esa aceituna! Aceituna lisonjera, verde y tierna por de fuera y de dentro madera: fruta dura e importuna.“

¡Ay, fortuna: Cógeme esa aceituna! Fruta en madurar tan larga que sin aderezo amarga, se ha de comer sólo una.

¡Ay, fortuna: Cógeme esa aceituna!“^{[6,621-622].}

(ოჰ, იღბალი, მიბოძე ზეთისხილის მარცვალს! მარცვალი ნეტარების მომნიჭებელი, ქორფა და ნაზი გარედან, შიგნიდან – ხესავით მკვრივი: ხილი მკვრივი, ხილი თამამი. ოჰ, იღბალი, მიბოძე ზეთისხილის მარცვალს! ნაყოფი ისე ხელა მწიფდება, რომ საკმაოს გარეშე მწარეა; იგი მხოლოდ ერთი ცალი უნდა იქნეს. ოჰ, იღბალი, მიბოძე ზეთისხილის მარცვალს).

¹⁴ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორები იძლეოდნენ რჩევას: ზეთისხილის მარცვლები, რომლებსაც შეგიძლია მოსწველ მიწიდან ან კიბეზე მდგარი, მოკრეფე, არ ჩამოყარო, რადგან დარტყმისაგან მარცვალი იკუმშება და იმდენ ზეთს აღარ იძლევა.[8,252].

¹⁵ რათა არ დაზიანებულიყო ხის მსხმიარე ტოტები, რომლებიც შეიძლება დაამცურია ხეზე გახულ მარცვლების ჩამოყრა კეტის ძლიერი დარტყმით. ა. როლოვი თავის წიგნში ამგვარ რჩევასაც კი იძლევა: თუ მარცვლების შესაგროვებლად ხეზე გასულაა საჭირო, ახალგაზრდა ტოტებზე ქერქის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით სასურველია, მკრეფავი ხეზე ავიდეს ნემშების გარეშე.[157].

¹⁶ ტექსტში მომართვა ფილოლოგმა, მთარგმნელმა, ხალამანკის უნივერსიტეტის დოქტორანტმა სოფიო შილაკამმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

¹⁷ ტექსტის აქარაღვლი თარგმანი ეკუთვნის სოფიო შილაკაძეს.



1. Роллов А. Х., Разведение маслины, Тифлиси, 1898.
2. Оливковая энциклопедия – ITLV; <http://www.itlv.ru>.
3. Джек Тресидлер, Словарь символов, М., 2001.
4. დლონტი შ., ზეთისხავი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1960.
5. ლასარეიშვილი დ. ნ., ზენაიშვილი გ.ბ., ზეთისხავის კულტურა, თბ., 1995.
6. Cancionero popular español, „Ráduga“, Moscú, 1987.
7. Мишулин А.В., Античная Испания до установления римской провинциальной системы в 197 г.до н.э., М., 1952.
8. Ученые земледельцы Древней Италии, перевод с латинского, примечания и введение М. Сергено, «Наука», Л. 1970.
9. Federico García Lorca, Prosa, Poesía, Teatro, Moscú, 1979.
10. ფედერიკო გარსია ლორკა, დეკლემბი, თარგმანი ეხსანურიდან მიხედე ქლევიძისა, ვლენე ფერმტეისისა და თამაზ ჭილაძისა, „მნათობი“, №9, 1956.
11. Корсунский А. Р., Готская Испания (Очерки социально-экономической и политической истории), М., 1969.
12. Refranes que hablan del aceite de oliva, de la aceituna o del olivo; www.acitedeoliva.com/olivo
13. წულუკიძე თ., ზეთისხავის კულტურა, თბ., 1953.
14. Luis Junceda, Diccionario de refranes, dichos y proverbios, Madrid, 2002.
15. В. Ф. Руденко, Маслина; wsyachina.narod.ru/biology/olive
16. Серов С. Я., Токарев С. А., Народы Пиренейского полуострова, в кн: Календарные обычаи и обряды в странах зарубежной Европы, Летне-осенние праздники, конец XIX – начало XX вв. сс.39-57, «Наука», М., 1978.
17. მიკელ დე სერვანტეს სააუდრა, მიხეილგონიერი იდაულგო დონ კიხოტ დამანუელი, ტომი პირველი, თარგმანი ნ. ავალიშვილისა, ნ. აგიაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, საბლიტგამი, 1951.

Испанские пословицы о маслинах

Sh. Tavberidze (TSU)

В статье рассматриваются испанские пословицы об оливе. Олива – весьма важная масличная и плодовая культура, возделываемая на Пиренейском полуострове. Оливковое масло из Испании славилось еще в эпоху Римской империи, а оливковая ветвь была символом страны. Оливки и оливковое масло были одними из основных пищевых продуктов; оливковое масло издавна употреблялось в лечебных целях, для сохранения молодости и здоровья. В испанских пословицах отражены знания и сельскохозяйственный опыт, касающиеся ухода за оливами, получения оливкового масла и его полезных свойств, а именно, какие почвы непригодны для этой культуры, когда и как следует собирать плоды, чтобы получить качественное масло, как определить урожайность, какие блюда лучше готовить на оливковом масле, как с помощью этого ценного продукта сохранить здоровье и т. д. Эти хозяйственные, практические и лечебные советы еще раз подтверждают то значение, которое олива имела и имеет для испанцев.

Spanish proverbs about olive

Sh. Tavberidze (TSU)

The article deals with Spanish proverbs about olive. Olive is one of the most important oil-plant and fruit-tree on the Iberian Peninsula. The olive oil of Spain was known even in the Rome Empire epoch and branch of olive was the symbol of the country. The olive and olive oil were main food; from the earliest time olive oil was used as medical remedy and for maintaining health and youth. Agricultural experience of Spanish farmers about how to take care of this fruit-tree, how to press out oil, which soil is unsuitable for this plant, when and how the fruit should be gathered to get high-quality oil, how to determine productivity, as well as practical and medical recommendations - which dish is preferable to prepare with the oil and how to keep one's health by means of this valuable product are reflected in the Spanish proverbs. These pieces of advice prove once more the importance which olive has and always had for Spaniards.



საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი
სამეცნიერო შრომათა კრებულის ავტორთა საყურადღებოდ!

1. წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეიცავდეს უახლესი კვლევის მასალებს და მიღებული შედეგების განხილვას;
2. ნაშრომში რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ქვესათაურები: შესავალი, ობიექტები და მეთოდები, შედეგები და განხილვა, დასკვნა და ბოლოს ლიტერატურის სია;
3. ნაშრომი უნდა იყოს გაფორმებული შემდეგი თანმიმდევრობით:
 - I. ნაშრომის სათაური;
 - II. ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები;
 - III. სამუშაო ადგილის (დაწესებულების) დასახელება;
 - IV. მოკლე ანოტაცია ნაშრომის გამოცემის ენაზე;
 - V. ძირითადი ტექსტი;
 - VI. გამოყენებული ლიტერატურის სია ციტირების მიხედვით და ტექსტში დამოწმებით (ციტირებული ლიტერატურის ნახევარი მიზანშეწონილია იყოს გამოცემული ბოლო ათი წლის განმავლობაში);
 - VII. რეზიუმე რუსულ ენაზე (800-დან 1000 ნიშნამდე) და ინგლისურ ენაზე (400-დან 500 ნიშნამდე);
 - VIII. ნაშრომის მოცულობა 4-8 გვერდი, ნაბეჭდი 1,5 ინტერვალით (Acad Nuxx 12 შრიფტით, Times New Roman-14 შრიფტით, გვერდის შემდეგი პარამეტრების დაცვით : მარცხნიდან- 3 სმ, მარჯვნიდან 1 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ);
4. ლიტერატურის სია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომის ციტირებისას - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის დასახელება, ჟურნალის დასახელება, ნომერი, გამოცემის ადგილი და წელი;

წიგნების ციტირებისას - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი;
5. კრებულის რედაქცია იტოვებს უფლებას არ დაუბრუნოს ავტორებს მათ მიერ წარმოდგენილი ნაშრომის ელექტრონული ვერსია.

ნ³⁸/₁₈



ეროვნული
ცენტრი
ადამიანის
უფლებების
და დემოკრატიის
სახელმწიფო

დედანი მომზადდა გამოსაცემად აგრარული
უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო
ვანყოფილების მიერ

რედაქტორები: ნ. კერესელიძე
ტექნიკური რედაქტორი: ფ. კეკელიძე

გადაეცა წარმოებას 10.06.2008
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი - 16

ტირაჟი - 100

გამოცემა გამოქვეყნდა „ზეკარის“ სტამბაში.

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა